№ 53
ხუთშაბათი, 8 მარტი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10—	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური
„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

№ 53
ხუთშაბათი, 8 მარტი, 1901 წ.
რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ექიმი
ნიკო ერისთავი,
ველიამინოვის ქუჩა № 34, ქ. ტფილისში იღებს ნერვებისა და შინაგან სნეულებით ავადმყოფთ (გულის, ფილტვების, სტომაქის სატკივარნი) დილის 9—11 საათ., საღამოს 5—8 საათამ. აგრეთვე ავადმყოფ ბავშვებს. (3—41—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. გაგანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ზძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1¹/₂ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

გ. ა. ნავასარდიანი. 7¹/₂—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არშანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ბეზირგანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკოვიჩი, საქირურგო.—12¹/₂—1¹/₂ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1¹/₂—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელობოლოვი. შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები—მორიგებით. კროვატი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კროვატი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნენ ხარკოვის უნივერსიტეტში სწავლა-დამთავრებული გვერდწითელი დიდის მთავრინის ანასტასია მიხეილის ასულის ყუბანის ყაზახთა 1-ლ ხოპერის რაზმის უმცროს მკურნალად; ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობის საქმის მწარმოებლის თანაშემწე მე-X კლასისა ელისბაროვ-ბერიძე—მე-IX კლასის საქმის მწარმოებლად, და ამავე გამგეობის კანცელარიის მოხელე ალექსანდრე ლორთქიფანიძე საქმის მწარმოებლის თანაშემწედ მე-X კლასისა.

◆ ◆

შემოწირულება რაფიელ ერისთავის სახელობაზედ ფონდის დასაარსებლად.

ტფილისის რეალურ სასწავლებლის ზოგიერთა მოსწავლე ქართველთაგან რაფიელ ერისთავის მომავალ ფონდისათვის რედაქციამ მიიღო კიდევ 4 მან. და 10 კაპ.

◆ ◆

ახალი ამბავი

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ქუთაისის ქალაქის ხმოსანთაგან არჩეულმა განსაკუთრებულმა კომისიამ ამასწინად სთხოვა პროფესორს პეტრიაშვილს დასთანხმდეს ქუთაისის ქალაქის მოურავის თანამდებობაზედ არჩევას. როგორც ეხლა ქუთაისიდგან გვატყობინებენ, ბ-ნ პეტრიაშვილს უარი შემოუთვლია. კომისია ეხლა ბ-ნ ზდანოვიჩსა სთხოვს თურმე დაიდგას ყუთი ქალაქის მოურავის თანამდებობაზედ ასარჩევად.

⁂ ზუგდიდის მაზრის სოფელ ქვალონის მცხოვრებთ ჯერ ისევ 1880 წელს შუამდგომლობა აღძრეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის წინაშე ქვალონში ნახევარ სადგურის აგების შესახებ. ამასთან მცხოვრებნი თხოულობდნენ, სადგური უეჭველად აეგოთ ყაზარმის წინ მოედანზედ და მთავარ ლიანდაგის სამხრეთით. თავისის მხრივ მცხოვრებნი ჰპირდებოდნენ სადგურისათვის საჭირო მიწისა, შპალებისა და სხვა მასალის უსასყიდლოდ დათმობას და აგრეთვე მიწის მუშაობის უსასყიდლოდ შესრულებას. გავიდა 20 წელიწადი, გამგეობამ ნება დართო ნახევარ სადგურის აგებისა, მაგრამ სამხრეთით-კი არა, როგორც მცხოვრებნი თხოულობდნენ, ლიანდაგის ჩრდილოეთით. ასეთი გა'დაწყვეტილება რკინის გზის გამგეობისა იმდენად არ შეეფერება ადგილობრივ მცხოვრებთა პირობებს, რომ მცხოვრებთ უარი განაცხადეს თავიანთ პირობების შესრულებაზედ და თვით სადგურის გამართვაც, თუ-კი იგი ჩრდილოეთით იქმნება, სასურველად არა სცნეს. საჭიროა, ქვალონის მცხოვრებთ ერთხელ კიდევ აღძრან შუამდგომლობა და სთხოვონ, თუ-კი სადგურს მართლა იმათთვის მართავენ, იქ გამართონ, სადაც მათი საჭიროებანი მოითხოვს.

⁂ როგორც კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ანგარიშიდგან სჩანს, 1900 წლის მოსავალი ტფილისის გუბერნიაში საშუალოზედ ნაკლები ყოფილა. ყველაზედ უფრო დაზარალებულია ვენახები სხვა-დასხვა სენისაგან. დესიატინა მიწაზედ ორთა-შუა რიცხვით 25—35 ფუთი პური მოსულა, ქერი—35—55 ფუთი. თამბაქოს მოსავალი საერთოდ კარგი ყოფილა. განსაკუთრებით ბლომად ძ კარგის თვისების თამბაქო მისულა სოფელ მაშნაარში.

⁂ ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის პირველ დეპარტამენტში დღეს, 8 მარტს, განსახილველად დანიშნულია საქმე ქ. სიღნაღის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსის კაზიმიროვისა და მის თანაშემწის პ. რომანოვისა, რომელთაც სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედება ჩაუდენიათ.

⁂ სამშაბათს, 6 მარტს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ თავისს სხდომაზედ დაასრულა საზოგადოების ამა 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა, საიდგანაც სჩანს, რომ წელს საზოგადოებას შემოსავალი ექმნება 14,000 მანეთზედ მეტი, ხოლო გასავალი 14,000 მანეთი. საბჭოს დარჩა განუხილველი საბაღოსნო სკოლის შესანახი ხარჯთ-აღრიცხვა, რომლის დამთავრების შემდეგაც წევრთა საზოგადო კრება დაინიშნება და წარედგინება საბჭოს დასამტკიცებლად.

⁂ დღეს, 8 მარტს, საღამოს 8 საათზედ, ქალაქის გამგეობის დარბაზში სხდომა ექმნება ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიას, რომელსაც განსახილველადა აქვს შემდეგი საქმეები: 1) ქალაქის სასწავლებელთათვის 2 ექიმის არჩევანი; 2) შუამდგომლობა პუშკინის სახელობის ქალაქის სკოლის გამგის ქ-ნ ჩიქოვანისა ამ სკოლის ზოგიერთა ნაკლულევანებათა აცილების შესახება და სხვა. კომისია სულ 9 საქმეს განიხილავს.

⁂ შაბათს, 3 მარტს, თავ. ნ. ვ. არღუთინსკი დოლგორუკოვის თავმჯდომარეობით, ტფილისის ვაჟთა 1-ლ გიმნაზიის შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების კომიტეტს სხდომა ჰქონდა. კომიტეტმა, სხვათა შორის, დაადგინა გადასდოს 505 მან. ღარიბ მოსწავლეთა სწავლის ფულის გასასტუმრებლად ამა მიმდინარე ნახევარ წლისათვის.

⁂ ს. ოქროყანის მცხოვრებთ უთხოვნიათ ტფილისის საგუბერნიო მთავრობისათვის, დაკლებულ იქმნას მათზედ გაწერილი საადგილ-მამულო და საბეგრო გარდასახადები.

⁂ გუშინ ტფილისიდგან ხარკოვს წავიდა ტფილისის სახაზინო პალატის გამგე ბ-ნი ი. ვ. ვერეტენნიკოვი, ვერეტენნიკოვი გააცილეს მათმა ყოფილმა თანამსახურმა პალატის მოხელეებმა.

⁂ გუშინ-წინ ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის პირველმა დეპარტამენტმა განიხილა საქმე სიღნაღის მაზრის, სოფელ არაშენდას მცხოვრებთა ლევან იაგორას ძის ბერიძისა და ლევან სოლომონის ძის იაგანაშვილისა, რომელთაც ის ჰბრალდებოდათ, რომ იგინი 1900 წლის 8 თებერვალს თავს დაესხნენ ქ. სიღნაღის მცხოვრებს გრიქურა პეტრუზოვსა და ამოღებულის დანით მუქარით წაართვეს ქისა, რომელშიაც 38 მან. ჰქონდა პეტრუზოვს. წარსულს წელს ტფილისის ოლქის სასამართლოში საქმის გარჩევის დროს, რადგანაც საქმე საკმაოდ არ გამორკვეულა, იაგანაშვილის დანაშაულობის შესახებ ბრალმდებელს მის ბრალდებაზედ უარი განუცხადებია, ხოლო მოუთხოვნია ბერიძის დასჯა. ოლქის სასამართლოს ბერიძე გაუმართლებია, ხოლო იაგანაშვილისათვის ყოველისავე უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და 6 წლის ვადით მაღნებში სამუშაოდ გაგზავნა გარდაუწყვეტია. ოლქის სასამართლოს განაჩენი განუსაჩივრებიათ ტფილისის სამოსამართლო პალატაში, სადაც ბრალმდებელი ამტკიცებდა, რომ ორივე ბრალდებულია დანაშაულობისა და ითხოვა ორივეს თანაბრად დასჯა. პალატამ თვისი განაჩენი ღამის 11 საათზედ გამოაცხადა, რომლითაც ოლქის სასამართლოს განაჩენი იაგანაშვილის შესახებ დამტკიცებულ იქმნა, ხოლო ბერიძე დამნაშავედ იქმნა ცნობილი და მიუსაჯა ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და 6 წლით მაღნებში სამუშაოდ გაგზავნა.

⁂ 6 მარტს, განსაკუთრებულ კომისიას, ინჟინერ ენფიანჯიანცისა, სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორისა და ტეხნიკოსის ახნაზაროვისაგან შემდგარს, დაუთვალიერებია ნავთლუხში ის ადგილები, სადაც უნდა გაიმართოს გადამდებ სენით ავადმყოფთა ორი თავ-შესაფარი.

⁂ ტფილისის საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ციციანოვის აღმართის უშიშარ ყოფის საქმე, დაუდგენია დანიშნოს ორი პრემია 800 მანეთისა და 300 მან. ციციანოვის აღმართის უკეთ მოწყობის პროექტის შესადგენად.

⁂ როგორც გაზ. „ახ. მიმ.“ს ქუთაისიდგან სწერენ, 4 მარტს, ადგილობრივ საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში ქუთაისის ბავშვთა სამზრუნველო საზოგადოების წევრთა წლიური კრება მომხდარა. კრებას დაუდგენია შეიძინოს საკუთარი შენობა, რომლისათვის საჭირო მიწა ქალაქს დაუთმია. დასასრულ ამოურჩევიათ გამგეობის სამი წევრი: ი. პავლოვსკი, ი. ჭიჭინაძე და ვ. თუმანიშვილი და სარევიზიო კომისიის წევრნი: ალ. გარსევანიშვილი, დ. მდივანი და გ. ჯაფარიძე.

⁂ ქუთაისის გუბერნატორს განკარგულება მოუხდენია, რომ წლეულს ამავე გუბერნიის ოლქებსა და მაზრებში შეკრებილ იქმნას სასტატისტიკო კომიტეტისათვის ცნობები ოლქებისა და მაზრების გეოგრაფიულ მდგომარეობისა, ნიადაგისა, ჰაერისა, მცხოვრებთა ყოფა-მდგომარეობისა და სხვათა შესახებ. ეს ცნობები შეტანილი იქმნება ქუთაისის გუბერნიის მდგომარეობის წლიურ ანგარიშში.

⁂ პოლიციის მე-6 ნაწილში ტერ დავიდოვის სახლთან, პოლიციის მოხელემ იპოვნა 5 კვირის დაბადებული ბავშვი. ბავშვი აღსაზრდელად თვით ტერ-დავიდიანმა აიყვანა.

⁂ ქ. სოხუმი. კვირას, 5 მარტს, სოხუმის საკათედრო საკრებულო ტაძარში განსვენებულის პოეტის რაფიელ ერისთავის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი იქმნა გარდახდილი, რომელსაც თითქმის მთელი სოხუმის ქართველობა დაესწრო.

ფონდისათვის ფული გროვდება.

⁂ სოფ. ახალი ჰაპა (ლეჩხუმის მაზრა). ოც-და ოთხ თებერვალს ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის იასონ დავითის ძის გელოვანის მოთაოსნობით მათსავე საგვარეულო ღვთისმშობლის ეკკლესიაში გარდაცვალებულის მხცოვანის პოეტის რაფიელ ერისთვის სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნა პანაშვიდი, რომელსაც დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. ვიდრე მღვდელი თავისს მოვალეობის შესრულებას შეუდგებოდა, წინამძღოლმა შემდეგის მოკლე სიტყვით მიჰმართა დამსწრეთ;

„ბატონებო, ამ კვირის ფოსტამ მეტად სამწუხარო ამბავი მოგვიტანა: გარდაცვლილა ჩვენი მხცოვანი სათაყვანო მგოსანი რაფიელ ერისთავი. საჭიროდ არა ვთვლი, დაწვრილებით მოგახსენოთ, თუ სამშობლო მწერლობაში რა ღვაწლი მიუძღვის; დარწმუნებული ვარ, იშვიათი იქნება ისეთი ქართველი, რა წრისა და კუთხისაც უნდა იყოს, რომ მისი სახელი არ გაეგონოს, მისი რამ არ წაეკითხოს. ასეთის მამულიშვილის დაკარგვა სამშობლოსათვის უბედურობაა. მისი ნათელი ჩვენს მწიგნობრობას აფენია, მისი ორმოც-და-ათის წლის ღვაწლი სამწერლობო ასპარეზზედ ჩვენმა ერმა ამ ხუთის წლის წინად ღირსეულად იდღესასწაულა. იგი იყო გატაცებული მოტრფიალე სამშობლოსი, რომელსაც ასე დაჰმღეროდა: „არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“. მე არ ვუსამძიმრებ ამ დანაკარგს მისს ნათესაობასა და მახლობელთ; იგი ყველასთვის განურჩევლად სასამძიმროა, საყოველთაოდ საგლოვო არის. საუკუნოდ იყოს ხსენება ჩვენის სამშობლოს უანგარო მოღვაწის და ტკბილის მგოსნის რაფიელისა“.

⁂ სოფ. ლიხაური (ოზურგეთის მაზრა). 25 თებერვალს წმიდათა დავითისა და კონსტანტინეს ეკკლესიაში მღ. ნ. კონტრიძემ განსვენებულის მხცოვანის პოეტის რაფიელის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გარდაიხადა, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო. პანაშვიდს შემდეგ მღვდელმა მოკლე სიტყვით განუმარტა მრევლს ვინაობა და მნიშვნელობა პოეტისა. პანაშვიდზედ გურულს გალობას ან. კონტრიძის მგალობელთა გუნდი გალობდა. 26 ს თებერვალს პანაშვიდი გარდაიხადეს აგრეთვე ადგილობრივს ორკლასიან სკოლაში. პანაშვიდის დაწყებისას სკოლის გამგემ ბ-მა ერ. ჯაშმა მოწაფეებს უთხრა სიტყვა, რომელშიაც რაფიელის მოღვაწეობა მოკლედ განუმარტა. სხვათა შორის, შემდეგი უთხრა: „თქვენგანმა თითქმის ყველამ ზეპირად იცის ლექსი „სამშობლო ხევსურისა“ და ძალიანაც გიყვართ იგი. აი, ამისი დამწერი იყო აწ განსვენებული მოხუცი პოეტი. იმედია, არ დაივიწყებთ და მისს ხსოვნასა და პატივისცემას თქვენთან ერთად შეჰზრდით და განიმტკიცებთო“.

⁂ სათავად-აზნაურო სკოლის შენობას რომ აგებენ იმ ადგილისა და წყნეთის ქუჩის მახლობლად, ველზედ, ერთი კაცი, ვიღაც „ბაბაჭუა“, კვირა-უქმე დღეებში ჰმართავს ჭიდაობას და მაყურებლებს თითო შაურს ახდევინებს. ამ კაცს ჭიდაობის გასამართავად მგონი არავისაგან ნება-რთვა არ უნდა ჰქონდეს აღებული. ამ ბაბაჭუას მიერ დაყენებული კაცები სახრით სცემენ და ისე რეკავენ ხალხს, რათა იმათ, ვისაც შაური არ გადაუხდიათ, არ უცქირონ ჭიდაობას. კვირას, 4 მარტს, ორ კაცს საოცრად სცემეს სახრით. კარგი იქნება პოლიციამ ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს და აუკრძალოს თვით-ნებობა ვიღაც ბაბაჭუას და იმის კაცებს.

⁂ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორი ბ. ი. სავიჩი დანიშნულ იქმნა თერგის ოლქის სახალხო სკოლების ინსპექტორად.

⁂ 4 მარტს აკურთხეს „იასლის“ საზოგადოების მეორე თავ-შესაფარი ანდრეევის ქუჩაზედ, № 68 და ორშაბათიდგან (5 მარტი) დაიწყო ბავშვების მიღება.

⁂ გორის მაზრის ს. გომში გაჩენილა წითელა, რომლითაც მრავალნი გამხდარან ავად და გარდაცვლილან კიდეც.

⁂ საგუბერნიო გამგეობას დაუვალებია ქალაქის მოურავისათვის, წარუდგინოს მას ცნობები ქალაქ ტფილისის უძრავ მამულების ღირებულობის შესახებ, რომელზედაც გაწერილ იქმნება დასათვისებელი გარდასახადი ქალაქის სასარგებლოდ.

⁂ 10 მარტისთვის დანიშნულია ცხენის რკინის გზის მეთვალყურე კომისიის წევრთა კრება, რომელიც განიხილავს ტექნიკოსის აბნაზაროვის მიერ წარდგენილ მოხსენებას ცხენის რკინის გზის მდგომარეობის შესახებ.

⁂ როგორც სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს გამოუკვლევია, ტფილისში ამ ჟამად ყველა გადამდებ სენზედ უფრო გავრცელებულია თურმე ხუნაგი და ყელ-ჭირვება.

⁂ როგორც ყარსის რკინის გზის სადგ. კალთახჩიდგან გვატყობინებენ, 6 მარტს, როდესაც მატარებელი № 75 გზად მიდიოდა, მემანქანეს შეუნიშნავს ლიანდაგზედ მთიდგან ჩამოცვივნული დიდრონი ქვები. მატარებელი 18 წუთს გაუჩერებიათ, ვიდრე მუშებს ლიანდაგი გაუწმენდიათ.

⁂ სამტრედია. 1 მარტს, როდესაც საქონლის მატარებელს სწემდნენ, დაშავდა მუშა ხიკოლაშვილი. ნიკოლაშვილს მკურნალმა შემწეობა აღმოუჩინა.

⁂ „გზათა სამინისტროს მოამბის“ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია გზათა მინისტრის დადგენილება, რომლითაც მადლობა გამოეცხადა ამიერ-კავკასიის რკინის გზის მე-XI ნაწილის უფროსს ინჟ. ლაზარევს 27 აგვისტოს ბაქოს სადგურზედ გაჩენილ ცეცხლის ქრობაში მხურვალე მონაწილეობის მიღებისათვის.

◆◆

ორიოდე სიტყვა ს. ლანჩხუთში საქალაქო სასწავლებლის დაარსების შესახებ.

საშობაოდ ლანჩხუთში მომიხდა მისვლა. ერთმა სოფლის გულ-შემატკივართაგანმა მკითხა: „საქალაქო სასწავლებლის დაარსებასა ვფიქრობთ ლანჩხუთში და რას გვეტყვი, როგორ მოგწონსო“? რასაკვირველია, გამეხარდა, ჩემი აზრი ვუთხარი და გამარჯვება ვუსურვე. ეს იმ მკითხველს, მაგრამ მეტი არ იქნება გაზეთის შემწეობით ამ კითხვას საზოგადოების ყურადღებაც მივაქციოთ.

ჩვენდა სანუგეშოდ გურიამ ამ უკანასკნელის ათის წლის განმავლობაში სწავლა-განათლების მხრივ კარგა დიდი ნაბიჯი წადგა წინ. რაც უნდა პატარა საზოგადოება იყოს გურიაში, ორ-კლასიანი თუ არა, ერთ-კლასიანი სასწავლებელი მაინც უთუოდ აქვს და იმასაც სცდილობს, დღეს თუ არა, ხვალ მაინც უთუოდ გაათორკლასიანოს და ორი-სამი მასწავლებელი იყოლიოს ისე, როგორც მისმა მეზობელმა საზოგადოებამა ჰქმნა! ოზურგეთში, პატარა სკოლებს გარდა, ერთი სასულიერო და ერთიც საქალაქო სასწავლებელია. სახალხო სკოლაში სწავლის შესრულების შემდეგ გურული თავისს შვილს იქ მიაბარებინებს. სანამ სახალხო სკოლების რიცხვი ნაკლები იყო, ეს ორი სასწავლებელი, ავად იყო თუ კარგად, ჰყოფნიდა გურიის მკვიდრთ; თითქმის 1890 წლამდე ისე მიდიოდა საქმე, რომ ამ სასწავლებლებში შესვლის დროს გამოცდაში გაჭიბრება (კონკურსი) არა ყოფილა. მაგრამ ამ ხნიდგან-კი საქმე სხვაფრივ დატრიალდა. უკანასკნელს წლებში სწორედ რომ დაუჯერებელი ამბები ხდება. საქალაქო სასწავლებელში ყოველს აგვისტოში ურიცხვს მთხოვნელსა ჰხედავთ და კიდევ დიდი ღვთის წყალობაა, თუ ხუთს მთხოვნელში ერთმა მაინც იშოვა ადგილი; დანარჩენნი ატირებულნი ბრუნდებიან სახლში: „სოფლის კლასი“ გაუთავებიათ, იქ ხომ აღარ დაბრუნდებიან და წინ-კი გზა შეკრული აქვთ, რადგანაც სხვა სასწავლებლებში შესვლას ხელმოკლეობისა თუ სხვა მიზეზთა გამო ათში ერთი ვერ ეღირსება.

სასულიერო სასწავლებელში უწინ გლეხის შვილებსაც იღებდნენ; ახლა-კი, თანახმად მთავრობის განკარგულებისა, მიღებულ უნდა იქმნენ ჯერ მოსამსახურე სასულიერო პირთა შვილები, შემდეგ სასულიერო პირთა ჩამომავალნი და, თუ ადგილი დარჩება, შემდეგ არა სასულიერო პირთა შვილებიც. ადგილები კი, არა თუ გადარჩეს, თვით ამ წოდების შვილთაც არა ჰყოფნით. წელს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში ორი დღე ვუყურე ბავშვების მიღებასა და ჩემი თავი სადღაც სამთო ინსტიტუტში მეგონა, სადაც საკონკურსო გამოცდის დროს ერთი თავის-ტეხა აქვთ! 48 ბავშვის გამოცდას პედაგოგიური რჩევა ორს დღეს მოუნდა და მიღებულ იქმნა მხოლოდ 3 ბავშვი. საქმის ამგვარი მდგომარეობა, მითხარით, ვის არ დააფიქრებს? უნდა გენახათ, როგორ სწუხდნენ ცალკე ბავშვები, ცალკე იმათი მშობლები!..

გურიის ერთი ნაწილის მკვიდრნი (მაგალითად ლანჩხუთისა, ჯურუყვეთისა და ჩოჩხათისანნი) შვილებს ფოთის საქალაქო სასწავლებელში ჰგზავნიან, მაგრამ, ვინ არ იცის, რომ ამისთვის ყველას ხელი არ მიუწვდება, რადგანაც ფოთში ბავშვის შენახვას წლიდგან-წლამდე კარგა ბევრი ფული უნდება. და ლანჩხუთში რომ საქალაქო სასწავლებელს დავაარსებდეთ, მაშინ ეს ხარჯი ერთი ხუთად შეგვიმსუბუქდებოდა. გიმნაზია, პროგიმნაზია ან სხვა რამ სასწავლებელი, რომ გთქვათ, ეს არც ისე ადვილია და იქნებ არც მოგვცენ, საქალაქო სასწავლებლის დაარსება-კი დიდს და შესამჩნევს ხარჯს არ მოითხოვს. დღეს გურიაში, გარდა ლანჩხუთისა, არც კი მეგულება ადგილი, სადაც ამგვარის სასწავლებლის დაარსება ასე საჭირო იყოს. აქ საქმ ადგილი მოსაგვარებელია. საჭირ მხოლოდ მხნედ და გონივრულ საქმის დაწყება. ჩვენის აზრით, საქ ამ რიგად უნდა დავიწყოთ: თვითონ ლანჩხუთში მთავარი კომიტეტი უნდა შესდგეს, რომელიც ბ ნს სახალხო სკოლების ინსპექტორს მოელაპარაკება ამ საქმის შესახებ; შემდეგ ეს კომიტეტი სოფლის მასწავლებლებსა და შეგნებულ პირებს მიჰმართავს ნიგოითის, ჩიბათის, ჯურუყვეთის, ჩოჩხათის, მაქეძ-გაბრიელის და სხვა ახლომახლო საზოგადოებებში და სთხოვს იმათაც შეადგინონ წრეები, მცხოვრებ საქმის გარემოება აუხსნან; ამათის შემწეობით მთავარი კომიტეტი შეკრებს ცნობებს მკვიდრთა რაოდენობის შესახებ თვითოეულ საზოგადოებაში; საჭიროა ვიცოდეთ, რომელს საზოგადოებაში რამდენი კომლია გარდამხდელი წოდება, თავად-აზნაურობა და სასულიერო წოდება. ამ ცნობების მიხედვით კომიტეტი გამოიანგარიშებს, თუ რამდენი შეხვდება ჯერ ერთ ხანად და მერე-კი ყოველწლიური გარდასახადი. სახალხო სკოლების ინსპექტორი ამ გზით მოქმედებისა სრული თანახმა გა-დება. როცა დ. ზესტაფონში საქალაქო სასწავლებლის დაარსების შესახებ ლაპარაკი გვქონდა, ბ ნი ინსპექტორი ერთერთს მოწერილობაში ამბობდა: „სასურველია ეს საქმე გააცნოთ შორაპნის მაზრის სოფლის მასწავლებელთ, რათა იმათ სოფლის მკვიდრთ აუხსნან და ჩააგონონო“. ჩვენშიაც ეს გზა საუკეთესო იქნება, მგონია. კომიტეტი მოიფიქრებს და გარდასწყვეტს, რა გაჯობესია: გადაკეთდეს საქალაქოდ არსებული ლანჩხუთის ორკლასიანი სასწავლებელი, თუ დაარსდეს ახალი და ორკლასიანი სასწავლებელი ხელ-უხლელად დარჩეს; უკანასკნელს შემთხვევაში, როგორც ერთ-დროებითი, ისე ყოველწლიური გარსახადი მეტი უნდა გადი-რთ, მაგრამ ამასაც არ უნდა შევუშინდეთ, თუ რომ ჩვენ მიერ ჩამოთვლილი საზოგადოებანი ამ საქმეში მონაწილეობას მიიღებენ. ეს საზოგადოებები თითქმის ყველა რკინის გზის ლიანდაგს მიჰყვება და იქაურ მცხოვრებ

ფელეტონი

ერი და მამული

2. დედა-აზრი მამულისა

რენანის „რა არის ერის“ გამო

შარლ ბიგოსი

(შემდეგი *)

როგორ უარ ვჰყოთ, მაგალითებრ, რომ კათოლიკე სარწმუნოება ისპანიის ბრძოლაში მავრების წინააღმდეგ ერადის გრძნობის ყოვლად მტკიცე ბურჯი იყო? ისპანიას საკმაო ძვირად დაუჯდა შედეგით ის ნაპოვენი ბურჯი. ნუ-თუ საფრანგეთშიაც იმავე სარწმუნოებრივმა მოძრაობამ, რასაც ჯვაროსანთ ომები მოჰყვა, არ გაწმინდა და არ განამტკიცა ერადი გრძნობა? ნუ-თუ ის შინაგანი ჯვაროსნობა ალბიგოელთ წინააღმდეგ, რასაც შემაძრწუნებელი ჩეხა ჟლეტა მოჰყვა, არ ყოფილა იმ ერისვე პოლიტიკური ხელ-გამოღება, რამაც დაჰბადა საფრანგეთის ჩრდილოეთის დამძლეობა სამხრეთზედ? ნუ თუ მეფის ლიუდოვიკო IX სიწმიდეს ხელი არ შეუწყვია საფრანგეთის მეფეთა ხელმწიფების დადგენისათვის იმდენად, რამდენადაც ლიუდოვიკო ახოვანის, ფილიპპე-ავგუსტოს ანუ ფილიპპე შვენიერის პოლიტიკურ გონიერებას?

უეჭველია, შუა საუკუნეებში ეკონომიურ საკითხავებს არ ჰქონიათ ის უპირატესობა, რომელიც მიეცა იმათ გზებისა, ნავოსნობისა, ვაჭრობისა, მრეწველობის გავრცელების შემდეგ. მაგრამ არ მჯერება, რომ არ არსებულიყოს მაშინ ცნობილი რამდენიმე ინტერესი იმ ქვეყნისა სხვა-და-სხვა ნაწილთა შორის, რომელიც საფრანგეთი გახდა, და რომ ჩვენ მეფეთა პოლიტიკურის გონიერების ნაწილსა რასმე არ აღმოეჩინოს ის ინტერესები, როგორც ერთი ნაწილი მათის ძალისა, რათა დამყარებოდენ მათ.

გეოგრაფია, ბოდიშს ვიხდი კიდევ რენანის წინაშე, ისეთი რამ არ არის, რომ შეურაცხი იყოს, მაშინაც-კი, როცა ერადობანი განისახვიან გარეგნად შემთხვევით და ხალხის აზრის უმაღლესის პოლიტიკურის მოქმედებით. ინგლისმა ბუნებაში შემძლე თანამოქმედი იპოვა ერთობის შესაქმნელად. კიდევ რომ საფრანგეთს დავუბრუნდეთ, ვინ იტყვის, ბუნება არ დახმარებოდეს? დასავლეთით ოკიანე, სამხრეთისკენ პირინე და ხმელთა შორის ზღვა, სამხრეთ-აღმოსავლეთით ალპი დანიშნული ჰქონდა თითქო ბუნებრივ საზღვრებად, სადამდისაც შეეძლო მიწევა, გადაბიჯება და იმას იქით გავრცელება-კი არა. ყოველთვის, როცა ჩვენ მეფეთა პოლიტიკას გვერდთ ხლებია გეოგრაფია, გაუმარჯვნია, მეტის თუ ნაკლების ხანგრძლიობის შემდეგ; ყოველთვის, როცა გეოგრაფიის წინააღმდეგ უშრომია, დამარცხებულა. როგორც ისპანიას ანუ იტალიას ვერ გაუმარჯვნია საფრანგეთის წინააღმდეგ გამოწყებულ საქმეებში, სწორეთ ისე არც საფრანგეთს ჰქონია წარმატება, როდესაც ალპის ანუ პირინეს გადათელვა უცდია. ნაპოლეონ კარლო დიდის უკეთ არ მოქცეულა მით, რომ თავისი მგზნებარე სურვილი ისპანიამდე მიუტანია. იტალია სამის საუკუნის განმავლობაში ფრანგთათვის სამარე იყო. თუმცა იმის დაპყრობა არა ერთხელ უფიქრნიათ, მაინც ვერაფერს გამხდარან. უკვირთ, რომ ლიუდოვიკო XI როგორც პოლიტიკურმა, ისე ბრწყინვალე გონიერებამ იტალიის ოცნებას თავი მიანება. დროს რომ ნება მიეცა მისის განამდვილების საცდელად, მაინც წარმატება არ ექმნებოდა, მიუხედველად მისის გონიერებისა, რაც ვერ მოახერხეს მისმა ძემან და მისის ძის მემკვიდრეთა. იტალია საფრანგეთის მონარქიის მაშმაგებელი იყო; იმან დააკარგვინა თვალთა ხედვიდამ სასარგებლო განზრახვანი; ძნელი სანუგეშო იქმნებოდა, რომ საფრანგეთს იტალიად ლაშქრობიდგან შინ არ მოეტანა ალორძინება.

აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით საფრანგეთს აღარა აქვს ბუნებრივი საზღვრები. ამ საშინელ ფიზიკურ სიბედითეს იგი ებრძვის მას აქეთ, რაც არსებობა დაუწყია და ეს ბრძოლა კიდევ არ გათავებულა. ამით დამართვია, ამით დაემართება მას მუდამ პოლიტიკური საშიშროება. ვერ ხვდება ზღუდეებს ვერც მის შესაჩერებლად და ვერც მის დასაფარავად. ეს არის მისი გეოგრაფიულის ერადობის დიდი ლიობა, მიჯნა, როგორიც უნდა იყოს, ყოველთვის საპაემნო მიჯნაა, როგორც მისთვის, ისე მისი მეზობლებისათვისაც: ერთი პაემანი წინ წასწევს, მეორე კი უკან დაახევინებს. ვერასოდეს იტყვიან საკმაოდ, რა დენი დათხეულის სისხლის მდინარის პასუხის მგებელია გეოგრაფია კაცობრიობის მატიანეში. მას თითქოს დაენიშნოს ბრძოლის ველნი, სადაც სხვა-და-სხვა საზოგადოება ერთმანერთს უნდა შეხვდეს და ერთმანერთს უნდა ეკვეთოს საზარელის შეტაკებითა, განუყოფელნი სივრცენი, რომელნიც არც ერთის მათგანის საკუთრებად არ არიან მიც-მულნი და რომელთაც ერთმანერთს ეცილებიან და ერთმანერთს ჰგლეჯენ რიგრიგად თავიანთ ბრჭყალების ძალის დაგვარად. საზღვარი არ გამხდება მსავს ომებს, ვიდრე ხალხთა სურვილი არ იქმნება მიშვებული, როგორც ერთად ერთი კანონი ც-ლობის გადასაჭრელად.

უკანასკნელ, უნდა შევეხნეთ მოდგმასაც და ენასაც. არ შექმნის ერთა არცა მოდგმა და არცა ენა,

---

*) იხ. „ივერია“ № 52.

ლანჩხუთთან მიმოსვლა სუფსა-ჯუმათ-ნიგოითის შემწეობით ადვილად მოსახერხებელია. რადგანაც არა-მოხარკე წოდება ყოველ წლიურს გარდასახადს ვერ დაიკისრებს, ამიტომ ისინი სასწავლებელს ერთ ხანად დახმარებას აღმოუჩენენ; გლეხობა კი განაჩენებით იკისრებს ყოველ წლიურს გარდასახადს. საუბედუროდ, ხელთ არა მაქვს ცნობები, რომელს საზოგადოებაში რამდენი კომლია, მხოლოდ დაახლოვებით-კი ითქმის, რომ გარდასახადი სულ მცირე შეგვხვდება. ცოტა რამ საჭირო ხარჯის შესახებაც: საქალაქო სასწავლებლის (31 მაისის 1872 წლის დებულებით) შესანახად წლიურად საჭიროა 3,620 მანეთი. თუ ჩვენ მიერ ნაჩვენები საზოგადოებანი წლიურად 1,200 მანეთს გარდაიხდიან, ამდენსავე ხაზინა შეგვეწევა და კიდევ დაგვჭირდება 1220 მან., რომელსაც ბავშვების სასწავლებლად შემოსული ფული შეავსებს. შენობა ამ გვარს სასწავლებელს საჭიროა 14 ოთახიანი, რაც მიწიანად 12 ათას მანეთამდე დაჯდება. თუ რომ ლანჩხუთის ორკლასიანს სასწავლებელს გადავაკეთებთ, მაშინ საქმე ბევრად უფრო ადვილი იქნება. არა მგონია-კი, ჩვენ მიერ დასახელებულ საზოგადოებათა მცხოვრებთ ამ საქმეზედ უარი სთქვან; სწავლის გემო აქ ყველას გაგებული აქვს და უკანასკნელს გროშსაც არ დაჰზოგავენ, ოღონდ საქმის ვითარება კარგად გაგებინოთ ყველას, რასაც ჩვენ მიერ ნაჩვენები მცირე კომიტეტები სიამოვნებით აასრულებენ.—მერე ამ ჟამად დროც მოხერხებულია: მოგეხსენებათ, ყოველწლიურის „ფოშტის ფულის“ მაგიერ დღეს გარდასახადი მიწას დაედვა. ჯერ-ჯერობით გლეხობას ამ ცვლილებამ დიდი შეღავათი მისცა და ამიტომაც ამ გარდასახადს უთუოდ შეიწერენ.

სამაგიეროდ იმათ შვილებს სწავლისაკენ გზა გაეხსნებათ, რაც აქეთ ყველას ასე ენატრება. ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელში სწავლის ფასი ათის წლის წინად რვა მანეთი იყო წლიურად, დღეს-კი 16 მანეთია და იქნება მალე ოცამდეც ავიდეს. ახალს სასწავლებელში-კი შეიძლება 8 ან 10 მანეთი დაწესდეს. მთელს სასწავლებელში 8—9 მასწავლებელი იქნება, 300—400 მდე მოსწავლე, ორი სამის წლის შემდეგ-კი პარალლელური განყოფილებანიც საჭირო შეიქმნება, და განა ის-კი სათქმელი არ არის, რომ ამოდენა ხალხი პატარა ლანჩხუთს გააცოცხლებს და ვაჭრობა აღებ-მიცემობაზედ დიდს გავლენას იქონიებს. მაშასადამე, ლანჩხუთის მცხოვრებთ თავის გამოდება დიდი ჭმართებთ და ჩვენც ამ საქმის კეთილად დაწყებასა და მალე დამთავრებას ვუსურვებთ.

ვ. სეფისპირელი

სასამართლოს მატიანე

ივლიანე მგელაძის საქმე

ამ ერთი წლის წინად ქ. ტფილისში გლეხს დიმიტრი მაქსიმეს ძე დუმბაძეს გადაუცია სოფლის მასწავლებლის ივლიანე ბ. მგელაძისათვის სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებიდგან 70 მანეთის გამოსატანად ბანკში ფულის შესანახი წიგნი. როგორც შემდეგ მოწმეთა ჩვენებიდგან გამორკვეულა, მგელაძეს 10 მანეთის მოსაპარავად წიგნში გადაუსწორებია სიტყვა „სამოცდა ათი“ „სამოცი“ და 70 მანეთის მაგიერ დუმბაძისათვის 60 მანეთი მიუცია. ეს გადასწორება ვერ შეუნიშნავს დუმბაძეს, გამორკვეულა ქურდობა მაშინ, როცა თვით მისულა შემდეგ ფულის ასაღებად ბანკში. 1900 წლის 13 ნოემბერს აღნიშნულ საქმის ჩადენის გამო პასუხისგებაში მიცემულ მასწავლებელ მგელაძეს ოლქის სასამართლოში თავი დამნაშავედ არ უცვნია და განუცხადებია შემდეგი: მე ბანკიდგან ნამდვილად გამოვიტანე 70 მანეთი და სრულადვე გადავეცი დუმბაძეს, ამიტომ არავითარი მიზანი არა მქონდა, იმის წიგნში სიტყვა გადამესწორებინაო; ეს სიყალბე უთუოდ ჩემმა მტრებმა ჩაიდინესო. დუმბაძის და მგელაძის ნაწერის გამოკვლევით, ექსპერტები ვერავითარს გარდაწყვეტილს მოსაზრებაზედ ვერ დამდგარან იმ გარემოებისა გამო, რომ ორივეს ხელი ძალიან წააგავს თურმე ერთმანერთს. სასამართლოს, დამნაშავედ უცვნია-რა ივლიანე მგელაძე, გარდაუწყვეტია ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და ტობოლის გუბერნიაში გარდასახლება. ბრალდებულს ოლქის სასამართლოს განაჩენი განუსაჩივრებია ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში, რომელმაც ეს საქმე განიხილა სამშაბათს, 6 მარტს. ბრალდებულს მგელაძეს იცავდნენ ბ-ნი გრუზენბერგი და ყანჩელი, რომელთაც სთხოვეს პალატას გამართლებინათ მგელაძე, რადგანაც საქმიდგან არა სჩანს, ვინ არის ნამდვილად წიგნში სიტყვების გადამსწორებელი. თვით ბრალდებულმა განაცხადა, მე დამნაშავე არა ვარ, მე ჩემის ხარჯით დავაარსე კიდეც ერთი სკოლა, 8 წელიწადი მასწავლებლად ვარ და არაფერი ცუდი არ ჩამიდენია, ხოლო ამ მდგომარეობამდის მიმიყვანეს ჩემმა მტრებმა უ. ცეცხლაძემ და დ. დუმბაძემ, რომელნიც თავიდგანვე გადამეკიდნენ და მოსვენებას არ მაძლევდნენ. სამოსამართლო პალატამ მგელაძეს ერთის თვით საპყრობილეში დაპატიმრება გარდაუწყვიტა. მგელაძე ვექილის ბ-ნ გრუზენბერგის თხოვნით თავდებით განთავისუფლებულ იქმნა დაპატიმრებისაგან.

დამაკვირდი

ცრემლი—სისხლია სულის.

დეკურსელი

* * *

ეს წუთის-სოფელი სარკეა, სადაც თვითეული ჩვენგანი თავისს საკუთარს სახესა ჰხედავს. შეიჭმუხნე მის წინ და იგი გაჩვენებს შეჭმუხნილს ცხვირ-პირს. გაიღიმე, გაიცინე მის წინ და მღიმარეს, მოცინარს ამხანაგს დაინახავ.

ტეკერეი

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები.

ტეხნიკამ ისე არსად არ იჩინა თავი, როგორც გზების გამართვა-მოწყობის საქმეში. სადაც წინად კაცი ათი და ოცი დღე უნდებოდა, იქ ეხლა ერთი-ორი დღეც ძლივს უნდება. პროგრესს ამ საქმეში დასასრული არ უჩანს. რკინის გზებით ხომ ააპრელეს თვით მივარდნილი და მიყრუებული ადგილები; ეხლა ელექტრონის გზების გამართვასაც ჰფიქრობენ, ისეთის გზებისა, რომლებიც სიჩქარითა და სისწრაფით ქარსაც კი გაუსწრობენ. თვით ჰაერში საფრენ გემის გამოგონება აღარავის მიაჩნია დღეს განუხორციელებელ უტოპიად და მეცნიერნი სპეციალისტნი თან-და-თან უფრო დაბეჯითებით გვარწმუნებენ, რომ შორს აღარაა ის დრო, როდესაც ადამიანი, დედამიწაზედ ცოცვის ნაცვლად, ჰაერში დაიწყებს ფრენასაო. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ მექანიკოსნი და ტეხნიკოსნი შრომასა და მეცადინეობას არა ჰზოგავენ ასეთის გემის გამოსაგონებლად. მართლაცა და ისე დღე არ გავა, რომ გაზეთებმა არაფერი გვაუწყონ ამ ტეხნიკოსთა, იმათ მოდელებისა და პროექტების შესახებ. აი, ეხლაც ბევრსა სწერენ ბერლინელ ტეხნიკოსის ი. გოფმანის მიერ გამოგონილ საფრენ მანქანის შესახებ. გოფმანს ჯერ-ჯერობით მხოლოდ მოდელი მოუმზადებია და ამ ცოტა ხანში თვით მანქანის კეთებასაც შეუდგება. 27 წელიწადია თურმე, რაც გოფმანი ამ საქმეს ადგია. დაწვრილებით არაფერს სწერენ, გადმოგვცემენ მხოლოდ იმას, რომ გოფმანის მანქანა ფრთებიანია.

* * *

რძის საშუალებით ადვილად შეიძლება თურმე ჭლექის გავრცელება. ჭლექის ბაქტერიები ისე არსად ბუდობენ და მრავლდებიან თურმე, როგორც რძეში. მეტად ხანგრძლივი დუღილია საჭირო, რომ რძეში ბაქტერიები ამოსწყდნენ; მაგრამ, ჯერ ერთი, ზოგს არ მოსწონს ძალიან მოდუღებული რძე, მეორე—ხშირად ნადუღი რძე ბუნებრივ გემოსა ჰკარგავს და მესამე—ერბოსა და კარაქს უდუღებელ რძესა ხდიან ხოლმე. მაშასადამე, საჭიროა ისე შეიძლებოდეს ამოწყვეტა ბაქტერიებისა, რომ რძემ გემო არ დაჰკარგოს და ერბოსა და კარაქის მოხდა შესაძლებელი იყოს. აი სწორედ ასეთი საშუალება მოუგონიათ რუსელსა და ჰასტინგს. იმათის აზრით, საჭიროა რძე კარგად პირ დაცობილ ჭურჭლით 20 წუთის განმავლობაში დაიჭიროთ 60°-ზედ (ცელსიით); რძე ამ შემთხვევაში გემოსა და თავის შემადგენელ ნაწილებს არა ჰკარგავს, ბაქტერიები სულა სწყდებიან და ამას გარდა ერბოსა და კარაქის მოხდაც უწინდელებრ შეიძლება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 მარტი.

ბერლინი. ბიულლეტენი იმპერატორის ჯანმრთელობის შესახებ: „ჭრილობა თითქმის სულ შეიკრა; დასიებული ადგილი სახის მარჯვენა მხარეს შეპატარავდა. საერთოდ თავს კარგადა ჰგრძნობს“.

მადრიდი. დედოფალმა მიიღო რუსეთის ელჩი, რომელმაც გადასცა მის უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორის საკუთარის ხელით დაწერილი წერილი. წერილში მისი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატორი უსურვებს დღეგრძელობას ესპანიასა და სამეფო გვარეულობას; შემდეგ მეფეს გარდაეცა წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენის ნიშნები.

სვატაუ. გერმანიის ელჩის წინადადებით გადაყენებულ იქმნა თანამდებობიდგან ხსინინის ოლქის უფროსი იმ მიზეზით, რომ იგი ცუდად ექცეოდა ქრისტიანებს და არ ასრულებდა გერმანიის მოთხოვნილებებს. ხონინში თავი მოჰკვეთეს ორ ჩინელს ნემეცების წინააღმდეგ მოქმედებისათვის; ჯანტოში ორი კაცი შეიპყრეს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ნემეცების წინააღმდეგ მოქმედებაში.

კაპშტადტი. უკანასკნელ 48 საათის განმავლობაში ცხრა კაცი კიდევ გახდა ავად შავის ჭირით; ავადმყოფთა შორის ორი ევროპიელია.

მოსკოვი. 6 მარტს დაიწყობა სასცენო მოღვაწეთა კრება.

ყაზანი. ქალაქის მოურავად ხელახლად კამერჰერი ლებედევი იქმნა არჩეული.

6 მარტი.

პეტერბურგი. პსკოვიდგან, პოლტავიდგან, ტვერიდგან, ნიჟნეტაგალსკიდგან და ხაბაროვსკიდგან ცნობები მოდის, რომ განსვენებულის საერო განათლების მინისტრის ბოგოლეპოვის სულის მოსახსენებლად ადგილობრივის სასწავლებლების მასწავლებელთა და მოსწავლეთა თანადასწრებით პანაშვიდები გარდაუხდიათ.

ხაბაროვსკი. უსურიის რკინის გზის სადგურ ნიკოლაევსკსა და გზის ასაქცევ ბარანოვსკს შუა 5 მარტს რაღაც გამოურკვეველ მიზეზისა გამო სამსახურის ვაგონი დაიწვა; ამ ვაგონით მოდიოდა უსურიის გზის უფროსი გენერალ-მაიორი კელლერი, რომელიც ცეცხლში დაიწვა. ცეცხლი შეუნიშნიათ მაშინ, როდესაც მატარებელი ნიკოლსკოეს სადგურზედ მისულა და როდესაც მთელი ვაგონი უკვე ცეცხლის ალში ყოფილა. ვაგონის თანმხლებელი კაცი ფანჯრიდგან გადმოხტარა და თავი ისე უხსნია.

გვეუბნება რენანი. მე ვამბობ, რომ იგინი მხოლოდ ერთვიან, ვიდრე დაპყრობა პოლიტიკურის სიმართლის საფუძველია; მაგრამ დასაჯერებელი კია, რომ თითონ მაშინ არ ჰქონდესთ იმათ ნამდვილი მნიშვნელობა? მუდამ რომ ავიღოთ მარტო ერთი საფრანგეთის მაგალითი, რომელიც რენანს თავისს საკითხავში განუწყვეტლივ მოჰყავს, რომელიც ისე ბუნებრივად გვიყოლიებს, ნუ თუ ენა არ ყოფილა უკეთესი მოკავშირე ჩვენ მეფეთათვის იმათ საქმეებში? ხალხების სხვა-და-სხვა დასაწყისთა წინააღმდეგ, აქა-იქ ხმარებულ პატუების *) წინააღმდეგ, ნუ თუ არ შეკეთდა, ჩვენ მეფანდურეთა დროთაგანვე, საზოგადო ენის გვარი, რომელიც იგულისხმებოდა მისის აგებულობით, მისი არსებადის სიტყვებითა, ყველგან თითქმის იმ ნიადაგზედ, რომელიც საფრანგეთის ნიადაგი უნდა გამხდარიყო, ენა, რომელშიაც შეერივნენ გალლურის ენის ნაწყვეტებს, ლათინურ სიტყვებს და სახეებს, ცნობილნი ახალნი ძირნი, რომელნიც გერმანელთა შემოსევამ თან მოიტანა. როდესაც ერთმანერთის გვეყურება, ყოველთვის უფრო დაახლოვებით გაგვეგება ხოლმე ერთმანერთისა.

მოდგმას რაც შეეხება, საფრანგეთი იმყოფებოდა, შესაძლოა, ისტორიაშიაც ერთად ერთ განსაკუთრებულ პირობათა შორის და ეს პირობანიც გეოგრაფიას შეუქმნია. გაშლილი აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისაკენ, დახშული ყოველგნით თუ ოკიანეთი, თუ მაღალის მთებით, იგი თითქო თავიდამვე დანიშნული ყოფილიყოს აეტანა და შეეჩერებინა აღმოსავლეთის ქვეყნებიდამ გამოსულ თავდამსხმელ ხალხთა თანისთანი ტალღები. საკმაოა, თვალი გადავავლოთ ევროპის რუკას, ვნახოთ შუაგულ ბოჰემიის დამკვრივებული მთები; ჩრდილოეთისაკენ ვეებერთელა ვაკე, რომელიც რუსეთით იწყება და თავდება მხოლოდ სენის ბასეინს იქით; საკმაოა, ვნახოთ ეს და შევიტყოთ, რომ თავდასხმათა დიდი გზა საფრანგეთად მოდის და იქ თავდება. ყოველ ისტორიის წინა ანუ ისტორიულ ხალხთა გადმოსახლებას ეს გზა აურჩევია და მას შესდგომია. ზოგიერთმა არა ჩვეულებრივმა მოძრაობამ-კი უფრო წინ ჰქმნა თავი და გადაიარა ალპი, ანუ პირინე იტალიად, ისპანიად, აფრიკად გადასვლით. საფრანგეთი თავს-დამსხმელთ წარმოუდგენდა ტკბილ ჰავას, რომელსაც ეჩვეოდნენ; აგრეთვე წარმოუდგენდა ნაყოფიერ ნიადაგს, მოღიმარს ცასა.

ყველამ ნებაყოფლობით გაიგდო ფესვი ამ ნიადაგზედ, არც ხელ შეუშლიათ ახალ თავდამსხმელთათვის, რომ მათ შედგომოდნენ და იქ მათთვის ალაგი მიეცათ ძალის სიმართლით. ჩვეულებრივი სახე რომ მიეღო, საფრანგეთი აღმოჩნდა ამ გვარად განსახული თითქო ვრცელ ჭურჭლად, სადაც ბუნება თითონ თავს უყრიდა და ადუღებდა ერთად სხვა-და-სხვას ან მაინც საზოგადო რტოისაგან საკმაოდ დიდი ხნის გამოყოფილ მოდგმათა, რომ სხვა-და-სხვა ზნენი, აზრები, ენები მიეღოთ, რომ მანამდე შთამომავლობის ერთობა დაივიწყებოდა. არც ერთი არ აღმოჩენილა საკმაოდ ძლიერი, რომ მოესპო და გაენადგურებინა, არც ერთი არ გაქცეულა. ამნაირად შეერთებულნი და იძულებულნი არეულან, ერთმანერთზედ და ერთმანერთის წინააღმდეგ უმოქმედნიათ, ვითარებანი (qualités) და ნაკლულოვანებანი შესცვლიათ. სისხლი, დაწესებულებანი, ანდერძნი, რწმუნებანი, ყველაფერი ნელის და საუკუნებრივის შრომით, ხან-კი დაძალებით, არეულა: მსგავსად იმ ქიმიურის შრომისა, რაიც საცნაურსა ჰყოფს ჩვენთვის მეცნიერთა რეტორტების ნამქმედარსა. ამ შრომის შედეგი ყოფილა ახალი განსახულება: ფრანგის მოდგმის განსახულება. მოდგმანი ბევრნაირი არიან და მათ შესახებ, ჩვენდა სამწუხაროდ, რენანს არაფერი უთქვამს; არიან აგრეთვე წმინდა მოდგმანი, მხოლოდ ერთის ადამიანის ოჯახობისაგან შედგენილნი; არიან კულტურებრივნი მოდგმანი, რომელნიც ნამდვილად, პირიქით, შერევისაგან წარმომდგარან. ერთხელვე შემდგარნი არც სხვებზე ნაკლებ ნამდვილნი, ნაკლებ მტკიცენი არიან. დიახ, კარგი იქმნებოდა, ვინც დღეს გაარჩევდა ფრანგებში მათ, ვინც არიან კელტთა, რომაელთა, ნორმანთა, ფრანკთა, ბურგონთა, ვიზიგოთთა და თითონ „ტაიფალთა“ შთამომავალნიც, რადგან რენანს ტაიფალნი ჰგონია; მაგრამ ჭეშმარიტება-კი ის არის, რომ დღეს აღარც ტაიფალნი, აღარც ვიზიგოთნი, აღარც ბურგონნი, აღარც რომაელნი და აღარც კელტნი არ არიან; საფრანგეთში მხოლოდ ფრანგის მოდგმა არის. ყველა სხვა მოდგმათაგან განირჩევა, ერთი გონებრივი და ზნეობრივი ტემპერამენტი აქვს, თავისავე აქვს ერთობა, სადაც ნიჭთა მრავალფერობა განმასხვავებელი ნასახია და იმყოფება, როგორც ნიშანი შთამომავლობისა. ეს მოდგმა თუმცა ხანგრძლიობს, საუბედუროდ, მისი ნაყოფიერება მცირდება, თავისს სიმართლეს და თავისს ადგილს ყოველთვის სხვა მოდგმის წინააღმდეგ იცავს, რამდენიმე საუკუნეა აგერა საგრძნობლად აღარ გამოცვლილა. ახალ დროების ცისკრადვეა შედგენილი. პროვინციის ანუ მაზრის კერძო წინააღმდეგობის საწადლის არ მიმხედველს ჰქონდა თუ არა მასაც აგრეთვე ნაწილი საფრანგეთის ერთობის დამყარებაში?

(შემდეგი იქნება).

---

*) წამხდარი ენებია საფრანგეთის ზოგიერთ პროვინციაში სალაპარაკო.

ბერლინი. პეკინში მყოფი მთავარ სარდალი იუწყება, რომ რადგანაც ხანკუში რკინის გზის ხიდი აღდგენილია, მეორე როტა რკინის გზის ბატალიონისა ლუტაიში იქმნა გადაყვანილი, ხოლო მესამე ხანკოუშიო. 1 მარტს ტიანძინიდგან პატარა ექსპედიცია იქმნა გაგზავნილი ცილიხაის ტბის ოლქში, ტიანძინიდგან ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადაც ყაჩაღთა ბრბონი გაჩენილან.

გლუმფონტეინი. ფურიეს გარშემორტყმის ცდამ 800 ბურგერით ფუჭად ჩაიარა და მტრის ნახევარმა ნაწილმა ღამე თავს უშველა. რამდენისამე დღის შემდეგ ხელ-ახლადა სცდიან უფრო დიდის ჯარით შემოარტყან ალყა.

მოსკოვი. საფოსტო მატარებელს, რომლითაც საერო განათლების მინისტრის ბოგოლეპოვის გვამს მოასვენებდნენ, ბრიანსკის რკინის გზის ვოკზალზედ მიეგებნენ სამოსწავლო უწყების წარმომადგენელნი მოხელენი, სამოქალაქო და სამხედრო უწყების უმაღლესნი მოხელენი და ქალაქისა და წოდებათა წარმომადგენელნი; ვოკზალზედ მობრძანდა აგრეთვე დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე. ლიტია შეასრულეს: პლატფორმაზედ, ვოკზალის მოედანზედ და დოროგომილოვის სასაფლაოს გზაზედ. დიდი მთავარი კუბოს მისდევდა. კუბო ეკკლესიაში იქმნა დადგმული და პანაშვიდი გარდაიხადეს; პედაგოგნი და მოსწავლენი კუბოს მორიგობით სდარაჯობენ.

ასტრახანი. საზღვაო ნავოსნობა დაიწყო.

მოსკოვი. რიაზ.-ნსკო-ურალსკის რკინის გზაზედ ვენევის ლიანდაგით მოსკოვიდგან მომავალი სახალხო მატარებელი № 8 გუშინ საღამოთი ლიანდაგიდგან გადავარდა; ორთქლმავალი და ხუთი ვაგონი სამ-საჟენიან ნაყარ მიწაზედ გადაცვივდა. მემანქანის თანაშემწე და ფოსტის მსახური სასიკვდილოდ არიან დაჭრილნი; მგზავრთაგანი ექვსია დაზიანებული.

პეკინი. სამშვიდობო მოლაპარაკება საშუალებას იძლევა, რომ საფრანგეთის ჯარების რიცხვი მალე შემცირებული იქმნეს, 10,000 კაცი სამშობლოში გაიგზავნება. პიშონი აპრილის დამდეგს წავა საფრანგეთში.

7 მარტი.

პეტერბურგი. რადგანაც გაზეთებში ტყუილი ხმები გავრცელდა, ვითომ პენზის ოლქის სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობილის ალექსანდრე ტალმასათვის სასამართლოს ეპატიებინოს, სასჯულო საქმეთა მინისტრი საჭიროდა სთვლის გამოაცხადოს, რომ ხელმწიფე იმპერატორმა, თანახმად სასჯულო საქმეთა მინისტრის უქვეშევრდომილესის მოხსენებისა, უმოწყალესად ჰბრძანა მადნებში სამუშაოდ გაგზავნილის ვარშავის გუბერნიის მცხოვრებს ალექსანდრე ლეოპოლდის ძეს ტალმას შეღავათი მიეცეს და განთავისუფლდეს იგი პენზის ოლქის სასამართლოს მიერ გარდაწყვეტილ მადნებში მუშაობისაგან, თავისუფლება მიეცეს საცხოვრებლად რომელიც უნდა ქალაქი ამოირჩიოს, გარდა სატახტო ქალაქებისა, მათის გუბერნიებისა და აგრეთვე პენზის გუბერნიისა, ხუთის წლით თვალ ყურის სადევნებლად ადგილობრივს პოლიციას ჩაჰბარდეს და ყველა უფლებათა ჩამორთმევისა ნაცვლად ჩამოერთვას ყველა განსაკუთრებული უფლებანი და უპირატესობანი, მაგრამ ქონებაზედ უფლებათა აღდგენა არ შეეძლოს.

უმაღლესად გამოქვეყნებულია ბრძანება იმის შესახებ, თუ 1901 წ.—1903 წლებისათვის დამნაშავეთა გასაგზავნადა და დასასახლებლად რომელი ადგილებია დასახელებული და აგრეთვე საგლეხო-სასოფლო ყრილობათა განაჩენით გაგზავნილთათვის.

დონის როსტოვი. ნავოსნობა ოფიციალურად დაიწყო; გემები უკვე დადიან.

ტიანძინი. პეკინის რკინის გზასთან მდებარე ინგლისსა და რუსეთს შორის სადავო ნაჭერ მიწის შესახებ საქმეს ჯერ ცვლილება არ ეტყობა. მოდავე მხარეთ ერთმანეთში მეგობრული დამოკიდებულება აქვთ, მაგრამ სიფრთხილის გულისათვის ორთავე მხრივ დარაჯთა რიცხვი 27 კაცამდე იქმნა ჩამოყვანილი, რომ მოლაპარაკების დროს მოსალოდნელი შეტაკება არ მოუხდეთ.

ლონდონი. საზოგადოებათა პალა. კოლლი კითხულობს, საყურადღებოა ინგლის-გერმანიის შეთანხმება ჩინეთის შესახებ მანჯურიასაც შეეხება თუ არაო. კრანბორნმა უპასუხა, რომ შეთანხმების პირველის მუხლის ძალით სახელმწიფოთ ერთმანერთისათვის პირობა აქვთ მიცემული თავისუფალი ვაჭრობა დაიცვან ყველა ნავთ სადგურებში, რომლებიც-კი ჩინეთის მდინარეებთანა სდევს და სადაც-კი შეიძლება გავლენა იქონიონო; მეორე მუხლშია ნათქვამი, რომ არცერთს მთავრობას სურვილი არა აქვს ჩინეთის დღევანდელ გაჭირვებულ მდგომარეობით ისარგებლოს და მიწები შეიძინოს და მთელს თავისს პოლიტიკას იმას მოახმარებენ, რომ ჩინეთს არავითარი მიწა-წყალი არ ჩამოეცალოს და ისევ მთლიანად დარჩესო. ეს მუხლი დაწვრილებით არ არის განმარტებული (ისმის მოწონება). კრანბორნი აცხადებს ამის შემდეგ.—მთავრობას არავითარი ცნობა არ მიუღია იმის შესახებ, ვითომ იაპონიას ეცნობებინოს ჩინეთის მთავრობისათვის, რომ, თუ მანჯურიის შეთანხმებას ხელს მოაწერს, იგი უთუოდ მოითხოვს ფოკიენის პროტექტორატობა მას ჩაჰბარდესო.

ბერლინი. ზოგიერთა გაზეთებში ხმა გავრცელდა, რომ პეჩჟილში სხვა-და-სხვა ერთაგან გაქცეულებმა ყაჩაღთა გუნდი შეადგინეს და პეკინსა და ტიანძინს შუა დათარეშობენო. გერმანელთა პატარა რაზმს ვითომდა მოუტანებია ამ ყაჩაღებისათვის, მაგრამ უკან დაუხევია და შემდეგ მათ-და გასაფანტავად ინგლისის ცხენოსანი რაზმი გაუგზავნიათ. ეს ცნობა უთუოდ შემცდარი უნდა იყოს. ოფიციალურს ადგილებში არა იციან-რა არც იმის შესახებ, რომ ასეთი ყაჩაღთა და გაქცეულთა გუნდი შემდგარიყოს, არც იმის შესახებ, რომ გერმანიის რაზმს მათთან შეტაკება მოჰხდომოდეს.

ლონდონი. დედოფალი 8 მარტს კოპენჰაგენში მიბრძანდება.

პეტერბურგი. პირველ მარტს მომხდარ მეორე სესხის მე-70 ტირაჟში მოგება ჰხვდა შემდეგ ბილეთებს:

№№ სერიისა	№№ ბილეთისა	მოგება	№№ სერიისა	№№ ბილეთისა
1930	27	200000	7067	31
2371	13	15000	15433	6
19600	17	40000	6727	39
1374	50	25000	10399	44
14465	44	10000	12055	36
1920	22	10000	1586	4
16516	29	10000	19559	10
16228	33	8000	11040	1
11387	6	8000	9234	40
1540	16	8000	10561	37
1205	42	8000	17092	35
4626	1	8000	6852	28
14097	18	5000	4715	30
2026	8	5000	8224	31
16823	46	5000	5722	22
6211	16	5000	8407	20
12734	25	5000	15859	15
16276	50	5000	12539	13
1184	39	5000	14044	36
4841	42	5000	10384	36

ათას მანეთიანი მოგება

—

№№ სერიისა

ხუთასი მანეთი

№№ ბილეთისა

1: 1773, 1944, 2417, 11149, 14566, 18382.
2: 1071, 4066, 12234, 14960, 19270.
3: 811, 4902, 7597, 8622, 8904, 10248, 12739, 16048.
4: 472, 5291, 5603, 8026, 9057, 12161, 12644.
5: 6211, 9741, 9990, 10150, 11067.
6: 5167, 11392, 11552, 12003, 15810, 15859.
7: 2974, 8911, 9124, 13639, 14701, 14783, 25777.
8: 13439, 17 02, 17937, 18764.
9: 5394.
10: 63, 976, 3544, 4512, 7821, 10577, 3017, 14142, 18808.
11: 440, 2971, 7600, 14892, 19247, 19351.
12: 197, 6185, 6679, 7697, 79 4, 9104, 10507, 10912, 11660.
13: 2985, 11407.
14: 650, 3282, 3480, 4453, 6867, 12112.
15: 200, 5005, 15279, 15525, 17213.
16: 5952, 7747, 12712.
17: 5272, 8036, 9292, 11893, 12115, 16426, 17654, 17672, 17866.
18: 1122, 2024, 3105, 14201, 17007.
19: 6740, 7325, 8734, 9801.
20: 274, 1794, 9370, 16611.
21: 2124, 5280, 9556, 11822, 16029.
22: 2497, 2896, 14108, 18113.
23: 7050, 10792, 11148, 12354, 16469.
24: 660, 2577, 3509, 3868, 6193, 17383, 18800, 19106.
25: 576, 775, 3484, 11714, 15781, 17756.
26: 3636, 7324, 10643, 11620, 13568.
27: 111, 11214, 11725, 18455, 19280.
28: 200, 4041, 5108, 10427.
29: 3660, 14768, 16275, 18656, 19923.
30: 3131.
31: 3910, 12594, 14814, 17442, 18800.
32: 3136, 9124, 11841, 15267, 9564.
33: 1883, 5989, 7145.
34: 5879,8134 10736, 13714.
35: 4887, 5380, 6737, 7483, 7933, 9606.
36: 1433, 8031, 12031, 15367, 18142.
37: 1447, 9085, 11516, 12369.
38: 308, 4980, 5929, 9524, 14947, 17783, 18368.
39: 3741, 7415, 9398, 16459, 16825, 17788.
40: 3086, 5765, 9188, 18244.
41: 6212, 7094.
42: 2281, 11356, 10901, 11421, 16871, 19014, 19141; 19481.
43: 1576, 4121, 7496, 7938, 12103, 12275.
44: 17471.
45: 496, 1107, 3549, 3934,6769, 10713, 13922.
46: 3083, 12549, 16396, 19081, 19138, 19961.
47: 4904, 6536, 6970, 7216, 13958, 15587, 15809, 18932, 19347.
48: 6857, 11132.
49: 1364, 2582, 13767, 13769, 13802, 18020.
50: 7769, 13300, 13568, 17367, 19591.

ტირაჟში გამოსული.

სერიები: 17952, 13982, 7886, 14378, 16824, 5596, 13344, 12999, 1027, 3059, 17930, 380, 18611, 4548, 6115, 910, 13961, 13938, 15498, 8468, 5486, 3578, 154, 7451, 16527, 17633, 6301, 16984, 116, 13250, 15449, 12826, 18001, 5696, 2029, 7823, 12947, 508, 6037, 3501, 13026, 15178, 927, 4863, 7872, 17797, 6571, 14873, 5382, 9903, 1772, 12753, 9918, 7334, 3453, 11426, 1193, 18337, 14501, 8686, 8105, 815, 17286, 18068, 17923, 13245, 19364, 12461, 10133, 1292, 2320, 18166, 14541, 18025, 1417, 10234, 7674, 248, 10702, 1476, 14597, 17522, 15247, 7589, 10295, 19148, 844, 6120, 9007, 16870, 1366, 19919, 648, 5640, 9819, 16379, 10514, 8512, 12318, 169, 10029, 16492, 2300, 13913, 3464, 5392, 11028, 1341, 6035, 18751, 15662, 5016, 14793, 1171, 17290, 15082, 18119, 5300, 13135, 2874, 13484, 3956, 408, 11610, 12215, 16237, 779, 5319, 19290, 13763, 14370, 1620, 16575, 2063, 6334, 16796, 4923, 18640, 12343, 18980, 2292, 17012.

ახალი წიგნები

ჩვენ მოგვივიდა ახალი წიგნი „კიდო" ანუ კრებული საყმაწვილო მოთხრობათა, დაწერილი ბ. იაკობ ს. გოგებაშვილის მიერ, გამოცემა ქუთაისური ამხანაგობისა. წიგნაკში მოქცეულია 24 საყმაწვილო მოთხრობა, რომელსაც უჭირავს სამოცდა ოთხი გვერდი. ფასი წიგნაკისა სამი შაური. წიგნაკზე აწერია: ორასი წიგნაკის შემოსავალი მიემატება ფულს, რომელიც იკრიბება მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძრის განს ლებლად.

განცხადებანი

1 მარტიდგან ქ. ბათუმში, მიხეილის ქუჩაზე, გავხსენი ღვინის სარდ. ფი ამ ფირმით „ბანჯა".

ამ ფირმის ღვინოები გაიყიდება აგრეთვე ქ. ფოთში ძმათა კაკ ნიხიძეთა მაღაზიაში. ფირმა მ ტად იაფად ჰყიდის განჯურ ღვინოებს. მსურველთ შეუძლიანთ დაიბარონ ღვინო როგორც ფოთიდგან, აგრეთვე ბათუმიდგან.

(3—56—1) ი. გ. ოჭანეზოვი

მეწვრილმანის დუქანში საჭიროა ამხანაგი, რომელსაც 200 მან. უნდა ჰქონდეს. შეუძლიან სულ იყიდოს დუქანი; ავჭალის ქუჩა. მსურველმა ჰკითხოს მეჩქმე ვჰანცალაძე. (1—57—1)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.

ახალი საშუალება თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება „კვერცხის რძე" სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე" არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სჭამს მუწუკებს, არბილებს კანს. ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია: დიდი ქილა—2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და საატფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზე №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. საატფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდეზე პოპოვის და არისტოვის საატფთიაქო მაღაზიაში. ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—4?)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7-го Марта 1901 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.